ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N 04

11.03.2025 წ.

მ/წ 11 მარტს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი; კომისიის წევრები ხუტა მუკბანიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მურმან ტვილდიანი; მოწვეული სპეციალისტი ამავე კომისიაში-ამირან ლიპარტელიანი; მოწვეული პირები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, სოციალური კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, კომისიის მდივანი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. ანგარიშის მოსმენა - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით დაგეგმილ სამუშაოებზე.
2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავსირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ბენდელიანის მიერ წარმოდგენილი - ანგარიში 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით დაგეგმილ სამუშაოებზე.

ზედამხედველობის სამსახურის დებულებიდან და დადგენილი წესიდან გამომდინარე სამსახური სისტემატურად ახორციელებდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, პავილიონების და შენობების გამოვლენას; აღნიშნული აქტივობა 2026 წელსაც კვლავ გაგრძელდება.

გამოვლენილია დაბა ლენტეხში სტალინის ქუჩაზე N1-ში მდებარე, ყოფილი სტამბა-რედაქციის შენობა, რომლის მეპატრონე გახლავთ იური ჩანქსელიანი. გარდა უსახურობისა

შენობა არის ავარიული და საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, მოსწავლეებს, გამვლელ-გამომვლელებს.

არაერთხელ იქნა გაფრთხილებული შენობის მეპატრონე, რომ შემოესაზღვრა შენობა დამცავი ღობით; გაკეთებული იქნა მავთულ-ბადე, შემოისაზღვრა სანიშნე ლენტით, მაგრამ დიდთოვლობის გამო ყველაფერი დაზიანდა, მ/წ 19 თებერვალს მეპატრონესთან ერთად, მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მოხდა ამ შენობის დათვალიერება, რაზედაც შედგენილ იქნა დათვალიერების ოქმი, რომელზედაც ხელი მოაწერინეს მეპატრონესაც, მიეცა ბოლო გაფრთხილება - შენობა შემოისაზღვროს დამცავი რკინის ღობით, აწარმოოს შენობის გამაგრებითი სამუშაოები, ან მოახდინოს დემონტაჟი. ასევე დაბაში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან კორპუსზე უკანონოდ მიშენებული ფართის გამო, ორჯერ გაფრთილების შემდეგ, მოქალაქე კობა დონღვანს გაეგზავნა ბოლო გაფრთხილება 2025 წ. 12 ნოემბერს და მოეთხოვა სამშენებლო-სანებართვო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით წესრიგში მოეყვანა მშენებლობისთვის საჭირო დოკუმენტაცია. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ როგორც მიწის მეპატრონეს, უფლება აქვს ნებართვის გარეშე , მერიასთან შეუთანხმებლად და ექსპლოატაციაში მიუღებლად ააშენოს პირველ კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობა; (პირველი კლასი - განაშენიანება არაუმეტეს 60 მ. კვ.). მოქალაქე ვაჟა ონიანი ორჯერ იქნა გაფრთხილებული მიეღო ზომები, ყოფილი ავტოსატრანსპორტო (ატეკა) საწარმოს უსახური, ავარიული, შენობის იერსახის მოსაწესრიგებლად ჩაეტარებინა შენობის რეკონსტრუქცია, ან დემონტაჟი. ვაჯა ონიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შენობას ჰყავს სხვა თანამესაკუთრეებიც, რაც შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს შენობის დემონტაჟისთვის და ითხოვა მერიისგან დახმარებას. ეს საკითხი ამჟამად შესწავლის პროცესშია. გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტების, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, უსახური შენობების გამოვლენის მიზნით ხდება შემოვლა-დათვალიერება. გაძლიერდა მონიტორინგი, რათა წინა წლებში უკონტროლოდ აშენებულ და უკვე დაკანონებულ უსახურ შენობებს (რასაც უკვე არაფერი ეშველება), ახალი არ შეემატოს.

იმსჯელეს: კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობები სავალალო მდგომარეობაშია არა მარტო რაიონში, არამედ სოფლებშიც, მარტო გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო. ამირან ლიპარტელიანმა შენიშნა, რომ - როცა უსახურ და ავარიულ შენობებზეა ლაპარაკი, ვის ბალანსზეც არის ეს შნობები უნდა ეცნობოს მფლობელს წერილობით, თუ არ აკეთებს უნდა ვაიძულოთ შემოსაზღვროს გამაფრთხილებელი ლენტით, მავთულ-ბადეთი ან თუნუქით ავარიული შენობა, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევა.

კომისიის წევრმა მურმან ტვილდიანმა წამოაყენა სოფელ გვიმბრალაში არსებული ავარიული შენობის საკითხი, რომელიც საფრთხეს უქმნის იქაურ მოსახლეობას, ბავშვებს. თუ შენობას არ ჩაუტარდება რეაბულიტაცია, ან ახალი შენობა არ დაიდგმება მის ადგილას, მაშინ მიწაზე, რაზეც ეს შენობა დგას, ყოფილ მიწის მეპატრონეს აქვს პრეტენზია. ამის პასუხად მევლუდ ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული შენობა, ჯერ კიდევ 1988 წელს, მაშინ კომკავშირის რაიკომში ვმუშაობდი, სრულიად უსასყიდლოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე

იქნა აშენებული და უშუალოდ მე ვიყავი ჩართული მის მშენებლობაში; ლაშა ბენდელიანმა განაცხადა, რომ სოფელ გვიმბრალაში ამ ძველი შენობის ადგილას, აუცილებელია აშენდეს ერთსართულიანი სარიტუალო სახლი და ასე გადაიჭრება საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა განაცხადა, რომ სასწრაფოდ არიან დასაბარებელი კერძო საკუთრებაში მქონე ავარიული შენობების მფლობელები და სასტიკად გასაფრთხილებელი; ყველა ამორტიზებული შნობა უნდა დაექვემდებაროს დემონტაჟს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა გამოთქვა აზრი - ზემოთ ნახსენები შენობების შესახებ მოპოვებული ყველა დოკუმენტაცია და საბუთი მოიკვლოის და შეისწავლოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა.

მურმან ტვილდიანმა დიდი გულისტკივილი გამოთქვა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ორმოცბინიანი კორპუსის წინა მხარეს და მის მოპირდაპირე ნაკვეთებს შორის მონაკვეთზე ძალიან ცუდი მდგომარეობაა ქუჩის სივიწროვის გამო; მას და მის შემხვედრ მანქანას, ორივეს გაჩერება მოუხდათ, რათა ბავშვებს მშვიდობიანად გაეარათ. ამასთანავე ამ გზით სარგებლობენ დიდწონიანი და მაღალი გამავლობის სატვირთოები - ვინ უნდა იზრუნოს, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს - დასვა ზოგადი კითხვა დეპუტატმა, რაზედაც მ. ლიპარტელიანმა უპასუხა, რომ ამ ქუჩით დროებით, სანამ შემოვლითი გზა გაკეთდება, სარგებლობს საქართველოს საგზაო დეპარტამენტი, ამიტომ კეთილი ინებოს და საგზაო დეპარტამენტმა მოაგვაროს ეს საქმე, რათქმა უნდა ჩვენი მუნიციპალიტეტის წერილის საფუძველზე.

რაიონის ცენტრში განთავსებული, უსახური სავაჭრო ჯიხურები (ბუტკები) ერთ-ერთი დიდი პრობლემაა რაიონისთვის, რომელიც ვერა და ვერ გადაიჭრა; ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ მ.ლიპარტელიანმა ზედამხედველობის სამსახურის უფროსს მოსთხოვა, რომ გადაიჭრას ეს საკითხი, არ იყოს ასე მოუწესრიგებლად რაიონის ცენტრი, რა არის ამისთვის საჭირო. კომისიის თავმჯდომარის პასუხად ირაკლი ქურასბედიანმა აღნიშნა, არსებობს პროექტი აშენდეს ახალი, თანამედროვე შენობა-ნაგებობა დაიდგას, მაგრამ თვითონ იმ ჯიხურების მეპატრონეები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, ერთ-ერთ მეპატრონეს შარდენ ლიპარტელიანს პრეტენზია აქვს, ტერიტორიები, რაზედაც განთავსებული ეს ჯიხურები, მისი წინაპრების ნაქონია და მას ორი ადგილი ეკუთვნის, ამას - სხვები ეწინააღმდეგებიან.

გადაწყვიტეს: 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ბენდელიანის ანგარიში - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებულ უსახურ შენობებთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებზე და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით დაგეგმილ სამუშაოებზე ცნობად იქნას მიღებული.

2.ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას და მერიის შესაბამის სამსახურს უმოკლეს ვადაში მოიპოვოს ინფორმაცია, აღრიცხოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - უსახური, ამორტიზირებული, დანგრევის პირას მისული შენობა-ნაგებობები, კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა შენობა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან ერთად, შეისწავლონ და მიიღონ შესაბამის გადაწყვეტილებები.

3.ეთხოვოს მერიას გააქტიუროს იუსტიციის სახლის მიმდებარე სავაჭრო ჯიხურების მშენებლობის საკითხი.

4.უახლოეს მომავალში, ცენტრალურ ქუჩებში, კვლავ ჩატარდეს შაბათობა ორმოების ამოვსებაზე.

5. ეთხოვოს მერიას უზრუნველყოს ზაფხულის თამარ-მეფის ქუჩაზე არსებულ სკვერების კეთილმოწყობის საკითხი.

სხდომა დასრულდა 14 საათზე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

თავმჯდომარე: /მ.ლიპარტელიანი/